ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3833220

ნომერი: AR1577673

თარიღი : 15.02.2018

გაცემის თარიღი : 20.02.2018

გაცნობის თარიღი : 21.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 14 , (ნაკვეთი N7/69) ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავითი მაჭარაშვილი პ/ნ 01019058902
- თბილისი თემქა XI მ/რ III კვ. კორ. 50 ბ. 33

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში , სექტორი-

საბურთალო, ნუცუბიძის ქუჩა, N14-ში, (ნაკვეთი N7/69), თანასაკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე შპს "ჯეოსელი"-ს 5 მეტრამდე სიმაღლის მქონე ანტენების განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (საკადასტრო კოდი N 01.10.15.007.069, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892018037166; 14/02/2018 წ. ასევე, არსებული ფოტო; ფოტომონტაჟი; მინდობილობა, ჰიგიენური დასკვნა პროექტზე;) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში , სექტორი-საბურთალო, ნუცუბიძის ქუჩა, N14-ში, (ნაკვეთი N7/69), თანასაკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე შპს "ჯეოსელი"-ს 5 მეტრამდე სიმაღლის მქონე ანტენების განთავსების შესაძლებობას. მშენებლობის მწარმოებელი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
ამასთან, გაითვალისწინეთ:
უზრუნველყოფილ იქნას ანტენების კონსტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.